საიდ. №77249/03

IR 1202286

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №81-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ს. ებრალიძე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ” პუნქტისა და 2015 წლის 09 ივლისის №ა-162 სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანიის „კორპორეიშენ ჰაბანოს, ს.ა." (CORPORACION HABANOS, S.A.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №81-03/14), რომლითაც მოითხოვება „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 02 აპრილის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №1428/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნისათვის „SAN CRISTÓBAL DE LA HABANA” (საიდ. №77249/03, IR 1202286) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (34-ე კლასი).

„საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 02 აპრილის №1428/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომბინირებული ნიშანი "SAN CRISTÓBAL DE LA HABANA" მსგავსია კომპანიის “CORPORACION HABANOS, S.A.“-ს (Avenida 3ra. No.2006 entre 20 y 22, Miramar, Playa Ciudad de La Habana) სახელზე საქპატენტში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნებისა „BEHIKE La Habana, Cuba“ (რეგისტრაციის ნომერი: 13209, რეგისტრაციის თარიღი: 2000-03-29), „FLOR DE TABACOS PARTAGAS HABANA“ (საერთაშორისო რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი: 2003-01-13, IR 804593), „FABRICA DE TABACOS DE H.UPMANN HABANA“ (საერთაშორისო რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი: 2003-07-10, IR 809385), „HOYO DE MONTERREY de JOSE GENER HABANA“ (საერთაშორისო რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი: 2003-03-17, IR 811539) 34-ე კლასის მსგავსი საქონლისთვის. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ და დაპირისპირებულ ნიშნებს შორის მსგავსებას წარმოადგენს სიტყვა “HABANA“ და ძირითადი დატვირთვა სწორედ ამ სიტყვაზე მოდის, რაც წარმოშობს მათ შორის აღრევის და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვლისათვის.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ დაპირისიპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელს წარმოადგენს აპელანტი კომპანია, რომელმაც შეიცვალა მისამართი.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზაში 2015 წლის 26 ივნისს დაფიქსირებული ცვლილების თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელმა კომპანიამ „კორპორეიშენ ჰაბანოს, ს.ა." (CORPORACION HABANOS, S.A.) შეიცვალა მისამართი. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ეკუთვნის ერთი და იგივე კომპანიას „კორპორეიშენ ჰაბანოს, ს.ა." (CORPORACION HABANOS, S.A.), შესაბამისად არ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ეკუთვნის აპელანტ კომპანიას, ადგილი აღარ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „კორპორეიშენ ჰაბანოს, ს.ა." (CORPORACION HABANOS, S.A.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 02 აპრილის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" №1428/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „SAN CRISTÓBAL DE LA HABANA" (საიდ. №77249/03, IR 1202286) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ქ. კილაძე

ს. ებრალიძე